თ ა ნ ხ მ ო ბ ა

შპს „ნეოექსკლუზივ გრუპს“ საიჯარო ხელშეკრულებით (იხ. ხელშეკრულება) შპს „პროგრიფისგან“ (ა. წერეთლის 123 ყოფილი №41ა), საკადასტრო კოდი # 01.13.03.052.007, შენობა #18(1) და 19(1) საწყობად აღებული ჰქონდა 160 კვმ. ფართი. იმის გამო, რომ შენობა არის ძალიან ძველი და ამორტიზებული მფლობელმა გადაწყვიტა მისი დემონტაჟი და ახალი შენობის აგება.

შპს „ნეოექსკლუზივ გრუპის“ დირექცია არ არის ამის წინააღმდეგი და ვიძლევით თანხმობას აღნიშნული შენობის დემონტაჟზე, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

შპს „ნეოექსკლუზივ გრუპის“

დირექტორი ი. სიჭინავა

— ილია სიჭინავა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200830484
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.10.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მაია წიკლაური
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი წერეთლის 55
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 35-21-19
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	45907046490720

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის, და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ოცი წლის თხუთმეტ ოქტომბერს მე, ნოტარიუსს, მაია წიკლაურს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ №55, მომმართა მოქალაქე

ილია სიჭინავამ, დაბადებულმა 21.01.1959 წელს ზუგდიდში, მცხოვრებმა ქ. თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი 14, ბინა 60-ში, რომლის პირადობა დადგენილია წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით 18ID87912, პირადი N01006005722, გაც. 04.04.2019 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ;

მან მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილ ტექსტზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება (თანხმობა. 1 ფურცელი 1 გვერდად). მე შევამოწმე მისი პირადობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლინების ნამდვილობაში, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგ ხელმომწერმა განაცხადა, რომ წინამდებარე ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. ხელმოწერა თითოეულ გვერდზე შესრულდა ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით. ნოტარიუსი არ ადასტურებს წინამდებარე ტექსტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე.
ამ სანოტარო აქტის დამოწმებისათვის გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების №507, 29.12.2011წ. „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" მუხლი 31, პუნქტი 3-ით, ერთ ეგზემპლარზე 2 ლარი, მუხლი 39, პუნქტი 1-ით – 2 ლარი, დამოწმდა სამ ეგზემპლარად, სულ 8 ლარი.

ნოტარიუსი